ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 213
კვირა, 27 ნოემბერი

1877—1905

ივერია

-ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 213
კვირა, 27 ნოემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან, თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციბში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ბარბაროსების თარეში ტფილისში

ხალხის მძლავრმა მოძრაობამ, თავგანწირულმა ბრძოლამ თავისუფლების და ადამიანურ უფლებების მოპოვებისათვის თავისი გაიტანა. შეირყა სულის შემხუთველი თვითპყრობელობა და გუშინდელ ჯალათებს მოელის აღგვა მათი სათარეშო ასპარეზიდან. ხალხი ლამობს თავისუფლად ამოსუნთქვას, ის ემზადება ახალ ცხოვრებისათვის, ის ძალ-ღონეს იკრებს, რომ შემუსროს უკანასკნელი ნატამალი ძალმომრეობა—თვითნებობისა.

მაგრამ სწორედ ამ დროს აღმოჩნდა ხალხის მეორე მტერი. ცხოვრების ნაძირალნი, აღზრდილნი ძველ თვითნებობის ნიადაგზე, ნაძირალნი, რომლებშიაც დახშულა ყოველგვარი ადამიანური ღირსება, ყოველგვარი შეგნება, გამოვიდნენ თავიანთ სოროებიდან და ხალხს შეებრძოლნენ. უკუნეთის ძალებმა თავი ამოჰყვეს და ცდილობდნენ თავის ვერაგობით და ბარბაროსობით წაერყვნათ, წაებილწათ სისხლით მოპოვებული ხალხის თავისუფლება. მთელ რუსეთს მოედო ხოცვა-ჟლეტა, დაუნდობელი შემუსვრა.

ბნელ ჯურღმულიდან ამოძვრნენ საზიზღარი არსებანი, ადამიანის სახით მოვლინებულნი, რომელნიც ერთნაირის სიტკბოებით ხოცავენ დიდსა და პატარას,—მათ ვერაგობას ვერც უსუსური ბალღი და ვერც უძლური დედაკაცი ვერ გადურჩა.

იმედი გვქონდა, რომ ეს ბარბაროსობის გრიგალი ჩვენს ტფილისს აშორდებოდა. იმედი გვქონდა, რომ, გარდა იმ ხულიგან-ნაძირალთა, აქ რეაქცია ნიადაგს ვერ მოიპოებდა, აქ ხალხის ვერაგი მტრები ვერ გამოჩნდებოდნენ. გვეგონა, რომ ეს ჩვენი იმედი საფუძვლიანი იყო, რადგან მებრძოლ ხალხის მძლავრი ლაშქარი ტფილისში მეტად თვალსაჩინო იყო. მაგრამ ამ უკანასკნელ დღეებმა ეს იმედი გაგვიცრუა, ამ უკანასკნელ დღეებმა თვალი აგვიხილა და დაგვანახვა, რომ თავისუფლებას არა ერთი მტერი ჰყავს, რომ მოქალაქობრივ ცხოვრებას ემუქრება ძველ რეჟიმში, სიბნელეში აღზრდილი ბნელი ძალა.

რა ძალაა ეს ძალა? ეს ძალა გახლავთ ნაციონალური შოვინიზმი. ბევრი ამაზე შემოგვეძახებს, თვითპყრობელობა, პოლიცია, პროვოკაცია რად დაგვივიწყდათო? არა, ჩვენ ეს ბნელი ძალები არ დაგვიწყებია, არც დაგვავიწყდება. მაგრამ დღეს ჩვენი სურვილია ეს ნაციონალისტური შოვინიზმი გამოვატიტვლოთ, მოვაშოროთ მას ყველა მისი მეგობარი ძალები, გამოვაშოროთ მას ყველა მისი მკვებავი წყაროები და მას შესაფერი მსჯავრი დავსდოთ. ამისათვის ტფილისის უკანასკნელი ამბები აურაცხელ ფაქტებს გვაძლევს. ამას მოითხოვს დღეს ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობა. ერთ მტერზე მითითება, მეორეს მაგიერ. ფონს ვერ გაგვიყვანს ჩვენ უნდა გადავშალოთ მთელი ცხოვრების სხვადასხვაობა და მოქალაქობრივობის ყველა ძალები გამოვამჟღავნოთ.

სადღეისოდ მარტო ნაციონალისტურ შოვინიზმს შევეხებით, რადგან თვით ცხოვრებამაც დაგვანახვა მისი „საქმენი საგმირონი".

დიდი ხანია, სომხობის ერთი ნაწილი, სომხობის „ინტელიგენცია" ჩაგვჩიჩინებდა: ჩვენ სომხები, კულტურული ხალხი ვართ, ჩვენ ქრისტიანები ვართ, ჩვენ ავანგარდი ვართ ცივილიზაციისა, სინათლე შეგვაქვს მაჰმადიან ქვეყნებში, მარა მაჰმადიანებმა არ დაგვინდეს, გვდევნიან, გვჟლეტენო. რასაკვირველია, მე აქ არ გავამართლებ მაჰმადიანებს, ვიცი, რომ მაჰმადიანთა უმრავლესობა, ჩვენ მეზობელ ქვეყნებში, სამღვდელოების ზეგავლენით შებოჭვილი, შეუგნებელი და განუვითარებელია. ვიცით, რომ სადაც ხალხის სიყრუეა, იქ ყოველ გვარი ბოროტობა ბუდობს. მარა ვინც სიმართლეს ეძებს, ვისაც გონება არ დაბნელებია, ის ზემოხსენებულ ჯურის სომხებს ვერ გაჰყვება,—მათ ვერ გაამართლებს. და რომ მოისურვოს კიდეც მათი გამართლება, თვით ცხოვრება, თვით ფაქტები არავის მისცემენ ამის საფუძველს, ვინაიდან ფაქტები სრულიად ამის წინააღმდეგს გვეუბნებიან. ჩემს წინ მოკლული თათარი, რომელსაც არავითარი იარაღი არ ჰქონდა, რომელიც ძმურის ღიმილით მიმართავდა მის გარშემო მყოფ ხალხს, დღესაც თვალწინ მიდგას, ჭიქობით ჩაის გამყიდველ თათრის გვამი ღაღადებს, რომ უბრალო სისხლი იღვრება.

მერე ვისგან, ან რა მოსაზრებით? როცა ჩემ წინ განგმირული თათარი სულს ლევდა, მის მკვლელთ ვკითხე: რას ჩადიხართ, ასე რამ გაგამხეცათ-მეთქი, ასეთი პასუხი მომცეს: „თუ სხვა ადგილებში ოცობით ხოცავენ სომხებს, ჩვენ აქ თითო მოვკლათ,—დიდი საქმეაო? ჩვენ აქ ბევრი ვართ, თათრებს შევაშინებთ და სხვა ადგილებში შევერიგდებიანო".

რა დაღუპველი გზაა! თქვენ გსურთ შიშით მშვიდობიანობა ჩამოაგდოთ. ეს ხომ შეუძლებელია! და ამას ღაღადებს ფაქტები. დღითი-დღე სომეხ-თათართა ურთიერთობა მწვავდება, დღითი დღე ხოცვა-ჟლეტა ვრცელდება კავკასიაში, ახალ ადგილებს ედება.

ნაციონალისტური შოვინიზმი თავის სიმკალს იმკის, სხვა ნაირი მოქმედება მას არც შეუძლია, ეროვნებათა შორის შური, ქიშპი, სიძულვილი, ერთმანეთის წასისინება—აი, რა არის ნაციონალისტურ შოვინიზმის იდეური ფარხმალი. ყველაფერი—მე და არაფერი—სხვასო,—აი, რაა მისი დევიზი. ხოლო ამას შედეგი კი ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტაა, მერე ვინ არიან ამ იდეების მატარებელნი? სადაა მათი წყარო? ეს დღეს ყველასთვის ცნობილია, ეს საკაცობრიო მოვლენაა. ბურჟუაზია თავისი ინტელიგენციით—აი ვინ ასაზრდოებს ნაციონალისტურ შოვინიზმს. აქვე მას ემატება სამღვდელოება. სომხების სამღვდელოება, განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენებული, არ ჩამოუვარდება ფანატიკოს მოლებს ნაციონალურ ქიშპობის გაღვივებაში. დიაღ, ეს ძალები უსისინებენ ხალხს. მათ შებოჭეს სომხის ხალხი იდეურ ჰახრაკით და თავის მონად გაიხადეს. მათ არ იკმარეს საუკუნეების განმავლობაში ხალხის გაყვლეფა,—ამას დაურთეს თავისი იდეური ბატონობაც, რომ ამგვარად თავისი ხელობა უდარდელად განაგრძონ. არ შემიძლიან არ მოვიყვანო ერთი შეგნებულ მუშის სიტყვები. თორმეტი წლის განმავლობაში სტამბაში ვმუშაობდით,—სთქვა მან,—და ამ ხნის განმავლობაში ვერ ვიპოვეთ ერთი სომეხი ამხანაგიც, რომელიც გვერდში ამოგვდგომოდა და ჩვენთან ერთად ემუშავნა ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობისათვისო.

დიაღ, საგულისხმიეროა, ეს განცხადება. ის ჩვენ გვიჩვენებს, თუ რა ძლიერია ხალხის მტერთა ძალა სომხობაში. და აი, სწორედ ამიტომაც ნაციონალისტურ შოვინიზმის მებაირაღტრებმა ხალხი ისეთ კუნჭულში შეიყვანეს, რომ მისი იქიდან გამოყვანა დიდ შრომასა და სიფხიზლეს ითხოვს. ფრთხილად, ლიპიანო მდიდრებო! დაუკვირდით თქვენს საქციელს, დაუკვირდით თქვენს ყოფა-ქცევას? ფრთხილად, თქვენ ტერტერებო! იცოდეთ, რომ ხალხი დღეს თუ ხვალ დაფასებს თქვენს „ნაღვაწს". შენ კი, სომხის ხალხო, იცოდე, რომ დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოგიყვანს არა შურის ძიება, არამედ მხოლოდ ერთობა. ერთობა ყველა მშრომელთან, რა ეროვნებისაც უნდა იყოს ის, მხოლოდ ერთობა მოსპობს დღევანდელ შენს აუტანელ მდგომარეობას. მხოლოდ ძმობა და სიყვარული ყველა მშრომელთან მოგცემს ძალას დათრგუნო და მოიშორო შენსავით ტანჯულ მოძმეთადმი, სხვა ეროვნების მუშებისადმი, შენში გაღვიძებელი მტრობა და შური. იცოდე, რომ მხოლოდ ერთობა, ერთობა ყველა ჩაგრულთა მოგიპოებს შენ მოქალაქობრივ თავისუფლებას და უზრუნველგყოფს ყოველგვარ ძალმომრეობისაგან!

პ. სურგულაძე.

ღია წერილი

ტფილისის ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალ-დემოკრატთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციების მიმართ.

ჩვენ, ტფილისში მცხოვრებ ქართველ მოქალაქეთა ერთი ჯგუფი, მოგმართავთ თქვენ, ზემოხსენებულ ორგანიზაციათა კომიტეტების წევრებს: 1) რათა თქვენ შორის ამორჩეულ კომისიისაგან მკაცრად იქმნას გამოძიებული ნოემბრის 22, 23 და 24-ს ტფილისში სომეხ-თათართა შორის ატეხილ ხოცვა-ჟლეტის მიზეზები;

2) გამოძიებულ და გამოაშკარავებულ იქმნას „დაშნაკცუტიუნის" ორგანიზაციის ფიზიონომია და მოქმედება ამ საქმეში;

3) მოვითხოვთ, გამოძიებულ იქმნას, ამ სამარცხვინო და ბარბაროსულ ხოცვა-ჟლეტაში ვინ იღებდნენ მონაწილეობას, და ასეთი პირები სასტიკად დასჯილ იქმნან ხალხის განმათავისუფლებელ და ჭეშმარიტების მიმდევარ ორგანიზაციების მიერ.

ქართველ მოქალაქეთა ერთი ჯგუფი.

სისხლის ღვრა ტფილისში.

22 ნოემბერს, თათრების უბანში მთელს ღამეს თოფებისა და რევოლვერების დაუსრულებელი გრიალი გაისმოდა, ხოლო სროლა საით იყო მიმართული, თათრებისთვის გაუგებარი იყო. ასეთივე გრიალი გაისმოდა სომეხთა უბნებში და მცხოვრებთ არ იცოდნენ, ვინ ვის ესროდა. რიყეზე, საღამოს 9 საათზე, ვიღაც უცნობს რევოლვერი ელექტრონის ტრამვაის ვაგონისათვის ესროლნია. ღამით. თეატრიდან დაბრუნებულთ ენახათ, რომ ვორონცოვის ხიდზე ეტლით მიმავალ ორ კაცს რევოლვერების სროლა აეტეხნათ და ხალხი დაეფრთხოთ. ჯერ კიდევ საღამოს ცხრა საათზე, ავჭალის ქუჩაზე, რამდენიმე შეიარაღებული კაცი თათრებს დუქანში დასცემოდნენ, დუქნის პატრონების მოკვლა ვერ მოესწროთ, მაგრამ ბევრი რამ გაეტანათ.

მეორე დღეს, ასე დილის $9^1/_2$ საათზე, ხმები გაისმა: მეხუთე და მეექვსე საპოლიციო უბნებში სომეხთა და თათართა შორის ხოცვა-ჟლეტა დაიწყოო. ტრამვაის ვაგონები, რომლებიც ამ უბნებში დადიან, საჩქაროდ უკან დააბრუნეს. თათრებისა და სომხების უბნებიდან დამფრთხალი, გადაფითრებული ხალხი უიმედო ნაბიჯით ქალაქის შუა ნაწილისაკენ მოეშურებოდა.

დილის ათს საათზე, სინამდვილის გასაგებად, მეექვსე უბანში ფეხით გავემართე, რადგან არც ერთი მეეტლე იქით წასვლას ვერა ჰბედავდა. სიონის ქუჩაზე ხალხი არა სჩანდა. სროლა ძალიან კანტი-კუნტად ისმოდა, ისიც შორიდან.

სიონის ქუჩაზე მოკლულს წავაწყდი. თათარი იყო. ნორაშენის ქუჩაზე აქა-იქ ხუთი მოკლული ეგდო. ყველანი თათრები იყვნენ. ერთი მათგანი გულ-აღმა იდო, წყლის ბოჭკა მისგან ცოტა მოშორებით ეგდო. მეორე თათარი ჩაის დამტარებელი იყო, გვერდზე ცალიერი პორტმანი და სპილენძის საჩაიე ეგდო. მუცლიდან ამონაჩქეფს სისხლს ფინია-ძაღლი დასტრიალებდა. ერთ ადგილს, ცოტა მოშორებით, სომხის ქალი მოეკლათ, რომელიც ვიღაც კაცების მიერ სწრაფად ერთის სახლის ეზოში შეტანილ იქმნა. მოკლული თათრები ქუჩაზე უპატრონოდ ეყარნენ.

რამდენიმე კაცი მეხუთე საპოლიციო ნაწილში შევედით. ბოქაული არა სჩანდა. იქ მხოლოდ პოლიციის ზედამხედველნი და დაბალი პოლიციელნი იყვნენ. ჩვენ ვთხოვეთ: მოკლულნი სადმე ეზოებში შეასვენეთ, რადგან ხალხს აღელვებს და თქვენც ქუჩაზე გამოდით და ყური უგდეთ, რომ ასე უბრალოდ ხალხი არ ხოცონო. ეზოებში მოკლულთა შეტანაზე მათ უარი სთქვეს: ქურდობას დაგვაბრალებენო, მხოლოდ ქუჩაზე გამოსვლა მარტო პოლიციის ერთმა ზედამხედველმა გაბედა და თან ძალით ორი პოლიციელი წამოიყვანა. დარჩენილი პოლიციელნი ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: საომარ დროის წესები რომ არ აეხსნათ, ასეთი ამბები არ მოჰხდებოდა. ახლა რომ ძალიან თავი გამოვიდოთ, ცუდ-უბრალოდ დაგვხოცავენო.

ჩვენ წავედით თათრის მოედნისაკენ. დროგამოშვებით ჩვენ წინ გაირბენდა ხოლმე ხუთიექვსი კაზაკი, ან დრაგუნი, რომელნიც მეექვსე უბნისკენ მიეშურებოდნენ. დუქნები დაკეტილი იყო. ზოგიერთ ნახევრად ღია დუქნებიდან ქართველები გამოიყურებოდნენ. თათრების უბნიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად თოფების გრიალი მოგვესმოდა. აქედან ბოტანიკურ ბაღის თავზე შევნიშნეთ შეჯგუფული ხალხი, რომელნიც ქვემოთკენ ისროდნენ. რადგანაც ჩვენგან შორს იყვნენ, ვერ გავიგეთ, სომხები იყვნენ, თუ თათრები.

თათრის მოედანზე ჯარის-კაცების მცირე-რიცხოვანი რაზმი იდგა და იქით აღარ გაგვიშვა. აქედან კარგადა სჩანდა, რომ თოფებს სახლების ფანჯრებიდან ისროდნენ. ერთხანს ჩვენს ახლოც სროლა გახშირდა. გვეგონა, ტყვიის სეტყვას ვერც ერთი ვერ გადავრჩებოდით.

რაკი თათრის მოედანს იქით ჯარისკაცებმა არ გამიშვეს, იძულებული გავხდი უკან დავბრუნებულიყავ. შუადღისას, 12 საათზე, ქალაქის გამგეობაში შევიარე, სადაც მისულიყო ტფილისის პოლიცმეისტერი და ქალაქის მოურავსა და გამგეობის წევრებს არწმუნებდა, საქმე ჩქარა სასურველს მიმართულებას მიიღებს, თუ თქვენ ჩაერევითო. პოლიცმეისტერმა გვაცნობა, რომ ეს არის ახლა, მეექვსე საპოლიციო უბნიდან დავბრუნდი და ჩემის თვალით დავრწმუნდი, რომ საქმე იმდენად არ არის გამწვავებული, როგორც ხმები მოდისო; ისვრიან მხოლოდ სახლის ფანჯრებიდან და ისიც დროგამოშვებითაო.

მცირე თათბირის შემდეგ, პოლიცმეისტერმა სურვილი განაცხადა მეექვსე საპოლიციო უბანში წასვლისა, თუ ქალაქის გამგეობიდან წაჰყვებოდნენ მცხოვრებთა დასამშვიდებლად. ჩვენც ყველანი, პოლიცმეისტერთან ერთად, წავედით ეტლებით, რომელიც ძლივს ვიშოვეთ. წინ და უკან დრაგუნები მიგვიძღოდნენ.

აგერ, გავიარეთ სიონის ქუჩა, სადაც ერთის საათის წინ მოკლული თათარი ვნახეთ, მაგრამ გვამი იქ აღარ იყო, მხოლოდ სისხლი დედამიწას კიდევ ეტყობოდა. ზოგან მკვდრები კიდევ ეყარნენ. პოლიცმეისტერი ყველგან ჩერდებოდა და დაწვრილებით გვეუბნებოდა, საიდან ყოფილიყო სროლა და ან სად ვინ მომკვდარიყო.

თათრის მოედანს რომ მივუახლოვდით, უცებ თოფების გრიალი მოგვესმა. ჩვენ შევჩერდით და გავარჩიეთ, რომ სროლა ბოტანიკურ ბაღის გორაკიდან იყო. რაკი პოლიცმეისტერი მიგვიძღოდა, თათრის მოედანზე ჯარის კაცებმა გზა მოგვცეს და წინ გავსწიეთ. ერთგან პატარა ხანს შევჩერდით და ერთმა კაცმა, ალ. მეტრეველმა, გვიამბო: ჩემის თვალით ვნახე, რომ მტკვარში ორი კაცი იყო გადაგდებული: ერთი თათარი და ერთიც სომეხი. სომეხი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ხალხმა დიდის გაჭირვებით გამოიყვანა წყლიდანაო.

ბაკხალის ქუჩაზე რომ მივედით, იქ შეგროვილი ხალხი, სომხობა—ჯარის დანახვაზე შეფრთხა და უგზო-უკვლოდ აქეთ-იქით გაიქცა. ჩვენ ბევრი ვუყვირეთ, ნუ გეშინიანთო, და ძლივს შევაჩერეთ. აქ ვნახეთ ერთი პატარა, მაგრამ ერთობ საგულისხმო ამბავი: ერთს სომეხს, ახალგაზდა კაცს, ამ ქუჩაზე თათრის აჯი-ბალი-ოღლის დუქანი გაეტეხნა, შიგ ბევრი რამ დაემტვრია და კასა გაეძარცვა. შეპყრობილი სომეხი პოლიციის ზედამხედველმა (მგონი, მონასტირსკი იყო) პოლიცმეისტერთან მოიყვანა და ყველანი გარს შემოერტყნენ. საყურადღებო ის იყო, რომ სომეხმა ამოდენა ჯარსა და პოლიციელთა ხელში ადვილად უშველა თავს და ძუნძულით სხვა სომხებს შეუერთდა, რომელნიც ვიწრო შესახვევში დაიმალნენ. ჩვენ ყვირილი დავიწყეთ: რად გაუშვით ეგ ავაზაკიო, მაგრამ პოლიციელნი იძახოდნენ: რა ვქნათ, გაგვექცაო.

მეექვსე საპოლიციო უბანში, როგორც პოლიციელებმა გვითხრეს, მოკლულია 3 თათარი და ერთი სომეხი. დაჭრილია ოთხი თათარი.

ბაკხლის ქუჩა, როგორც სომხებმა ასწერეს, საშიში ადგილია და ადვილად შეიძლება ადამიანის მოკვლა; ამიტომ პოლიცმეისტერმა ამ ქუჩაზე ჯარის კაცები დააყენა და უბრძანა: წესიერებას თვალყური ადევნეთ, მაღაზიები არავინ დაამტვრიოსო, და წინ წავედით.

ის მეეტლე, რომელსაც, სხვებთან ერთად, მეც მივყავდი, თათარი იყო და ძალიან შიშობდა იქით მოგზაურობას. ჩვენ ვცდილობდით გვენუგეშებინა.

ვორონცოვის ქუჩაზე პირველად შევხვდით თათრებს. ერთგან უცბად დაკეტილი დუქანი გაიღო და ათამდე თათარი გამოვიდა, რომელთაც გვთხოვეს, ცოლ-შვილთან მიგვეყვანა; ჩვენ დავპირდით, გამოვივლით და წაგიყვანთო, მაგრამ იქით აღარ გამოგვივლია.

ვორონცოვის ქუჩაზე, უცებ, ჩვენ თვალ წინ ერთი სომეხი გაჩნდა, გვარად გიგო საფაროვი, რომელიც გადაფითრებულიყო და ძლივს გვითხრა,—თან წამიყვანეთ, ცოლ-შვილი მანდეთ მყავსო, მარტო ვერ წავსულვარ, თათრებისა მეშინიაო. თხოვნა ავუსრულეთ.

სუმბათოვის ქუჩაზე თათრები შემოგვეხვივნენ. რამდენიმე შეგნებული თათარი გვიმტკიცებდა: ჩვენს ხალხს არავისი არა სჯერა და მისი დამშვიდება პოლიციასა და სხვა პოლიტიკურ პარტიებს არ შეუძლიანთ, გარდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა, რომელსაც თათრები ძალიან ერწმუნებიან. თუ სოციალ-დემოკრატები აღუთქვამენ, ხელს არავინ გახლებენო, მაშინ თათრები ადვილად დამშვიდდებიანო.

ჩვენ ვნახეთ ერთის შეგნებულის თათრის ალასკაროვის უზარ-მაზარი სახლი, რომლის კედლებსაც რამდენიმე ტყვია მოხვედროდა. ეტყობოდა, ტყვიები მტკვრის გაღმიდან იყო გამოსროლილი. სახლის ეზოში ორი ცხენი და ერთი კაცი იყო მოკლული. თათრებმა სთქვეს: ზურაბაშვის ქუჩიდან ისროდნენ სალდათის ტანისამოსში გამოწყობილი კაცები და, გვგონია, სათადარიგო სომეხი ჯარის-კაცები უნდა ყოფილიყვნენო. ჩვენ ვკითხეთ: თქვენც ესროდითო?—და გვიპასუხეს: რაც შეგვეძლო, ჩვენც ვისროდითო, მხოლოდ მოვარტყით ვისმე თუ არა, არ ვიცით, თოფები კი დამიზნებული გვქონდა იმ სახლისკენ, რომლიდანაც სროლა იყოო.

თათრების უბნიდან თან წავიყვანეთ მაჰმადიანთა კაზი და სხვა პატივცემული მაჰმადიანები და მტკვრის გაღმა, ზურაბაშვის ქუჩაზე გავედით. დავათვალიერეთ ის ხალხი, საიდანაც თათრებისთვის ესროლნათ. სახლი აღმოჩნდა ივანე მელიქოვისა და შიგ ქირიოლიანცი იდგა. სახლს ტყვია შიგნით კედელში შვიდს ადგილას ჰქონდა მოხვედრილი, მოკლული არავინ იყო. ქალაქის თვითმართველობიდან წამოსულმა ხმოსნებმა დაწვრილებით დაათვალიერეს ეს სახლი.

როდესაც მელიქოვის სახლის მდგმურებს ვკითხეთ: აქედან თათრებს ესროდით თუ არაო, გვითხრეს—არაო. ამაზე პოლიცმეისტერმა სთქვა: ეს შეუძლებელიაო: თათრებმა პირდაპირ მაინცა სთქვეს, ჩვენც ვესროდით, ისინიც გვესროდნენო.

ზურაბაშვის ქუჩიდან უკან დავბრუნდით. ქუჩა სომხებით სავსე იყო. სროლა სრულიად აღარ ისმოდა. თათრის მოედანზე რომ მოვედით, პოლიცმეისტერმა სთქვა:

— ახლა მე პასუხს აღარ ვაგებ. როგორც გავიგე, ავჭალის ქუჩით აქეთ შეიარაღებული მუშები მოდიან და, შესაძლებელია, მათ ჩამოვლას ცუდი შედეგი მოჰყვესო. ჩვენ თითქმის ერთხმად ვუპასუხეთ: ცუდი არაფერი მოჰხდება. ისინი ხალხზე გავლენას იქონიებენო, და პოლიცმეისტერიც გაჩერდა.

თათრის მოედნიდან შევნიშნეთ, რომ ბოტანიკურ ბაღის თავზე აღარავინ იყო, ჯარს გაეფანტა და იქ მხოლოდ ჯარის კაცები იდგნენ.

სიარულის დროს დავრწმუნდით, რომ ჯგუფ-ჯგუფად სომხებსა და თათრებს შეტაკება არ მოსვლიათ. ისროდნენ მხოლოდ ფანჯრებიდან და მოფარებულ ადგილებიდან.

სროლა დილის $9^1/_2$ საათზე დაიწყო და შუადღისას, 12 საათზე, დასრულდა.

თათრების უბნიდან ჩვენ თან ეტლით ერთი თათარი წამოვიყვანეთ, რომელიც ვორონცოვის ხიდთან მდგარიყო და მარტო ვერ წარმოსულიყო.

ვორონცოვის ხიდზე 25 ათასამდე მუშა მოგროვილიყო.

12 საათზე, ამ სამწუხარო ამბების გამო, ყველგან მუშაობა შეეწყვიტნათ, ნაძალადევში მიტინგი გაემართნათ და გადაეწყვიტათ, მეექვსე საპოლიციო უბანში ერთად გავლა მცხოვრებთა დასამშვიდებლად. როცა ავჭალის ქუჩა ჩამოევლოთ, ხიდზე გასვლა დაეპირებინათ, მაგრამ ჯარს აღარ გაეშვა. ხალხს ნამესტნიკთან დეპუტაცია გაეგზავნა და პასუხს ელოდა.

ვორონცოვის ხიდზე ამ დროს მოვედით.

ჩქარა გუბერნატორი მოვიდა და ხალხს გამოუცხადა, შეგიძლიანთ გაიაროთო. გუბერნატორი პროცესიას თან გაჰყვა, წინ რამდენსამე რიგად ჯარი მიუძღოდა. პროცესიამ თათრებისა და სომხების უბნები გაიარა და თათრების უბანს იქით, ქალაქს გარედ, გაჩერდა. ნელ-ნელა სომხები და თათრები მოგროვდნენ. წარმოითქვა სიტყვები ქართულად, რუსულად, სომხურად და თათრულად. სომხებმა და თათრებმა ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს, და კმაყოფილი პროცესია საღამოს დაიშალა. თათრებისა და სომხების უბანში დარჩა შეიარაღებული რაზმი, რომელსაც ღამით წესიერება და მშვიდობიანობა უნდა დაეცვა.

ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხოცვა-ჟლეტას ბოლო მოეღო.

მეორე დღეს, 24 ნოემბერს, დილის $8^1/_2$ საათზე, მეექვსე საპოლიციო უბანში ხოცვა-ჟლეტა ისევ განახლდა. მუშებმა მუშაობას ხელ-ახლად თავი გაანებეს, ხოლო სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებმა კრება გამართეს და დაადგინეს, ნამესტნიკს იარაღი ეთხოვოს. ნამესტნიკმა სოც.-დემ. პარტიას გადასცა ბერდანის თოფები. შეიარაღებული რაზმები ხალხისა დილითვე მეექვსე უბანში წავიდა და ხოცვა მხოლოდ შუადღისას შეაჩერა.

22 ნოემბერს მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს დაჭრილნი: 2 ქართველი და ერთი თათარი; 23 ნოემბერს დაჭრილა: 6 სომეხი, 19 თათარი, 1 გერმანელი და 5 ქართველი. 24 ნოემბერს დაჭრილა: 10 სომეხი, 2 რუსი, 1 ქართველი და 3 თათარი. მოკლულია 15. ამათგან 10 თათარია, ერთი სომეხი ქალი, ერთი ებრაელი და სამი უცნობი.

24 ნოემბრის ამბებს დაწვრილებით შემდეგ დავბეჭდავთ.

ტფილისის ამბები

(22 ნოემბრის საღამოს 8 საათიდან)

საღამოს რვა საათი იყო. თათრების მოედნის მახლობლად ვიღაც უცნობმა, თურმე, გაისროლა რევოლვერი და ერთი სომეხთაგანი დასჭრა. ამის შემდეგ მოცვივდნენ სომხები და გაჩნდა რევოლვერების შეუწყვეტელი და საშინელი სროლა. ამისთანა ქცევამ ისედაც შეშინებულს ტფილისს თავზარი დასცა. დაიკეტა ყველა მაღაზიები, რესტორანები, კრუჟოკი, არტისტიული საზოგადოება და სხვ. ხალხი სახლებში და მახლობელ ნათესავებთან და ნაცნობებთან მიიმალა. ქუჩებში მხოლოდ ჯარი და დრაგუნ-კაზაკები დადიოდნენ.

ამავე დროს მოხდა შეტაკება სომხებთან სურფ კარაპეტის ეკლესიასთან და აქ დაიხოცა ხუთამდის კაცი—თათარი და სომეხი.

ამავე საღამოს წარმოდგენა იყო სახაზინო თეატრში. ადგენდნენ ქართულ ენაზე ოპერას „სევილიელ დალაქს" დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ. გათავდა ერთი მოქმედება; ხალხმა არ იცოდა, თუ თათრების მოედანზე სისხლის ღვრა დაიწყო. თეატრში ნემსის ყურწი არ ჩავარდებოდა, ისე იყო გაჭედილი. ყველა გულმოდგინედ ყურს უგდებდა. ამ დროს გალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლერეიდან გაისმა საშინელი ყვირილი: „ამხანაგებო“. ამ ყვირილმა წარმოდგენა ცოტას ხნით შესწყვიტა. აქეთ-იქიდან დაუყვირეს გალლერეის ორატორს: მოიცადე, მოქმედება გათავდეს, მერე ილაპარაკე, ნუ უშლი“. როგორც იყო, ეს მოქმედებაც შეასრულეს შემკრთალმა არტისტებმა, ცოტად თუ ბევრად, რიგიანად ჩაატარეს ეს მეორე მოქმედება. ჩამოეშვა ფარდა და გაისმა ისევ წინანდელი ორატორის ხმა: „ამხანაგებო! ეს არის ახლა მოვიდა რუსეთის გაზეთის შემწეობით ცნობები, რომ შავი ზღვის ფლოტს და ჯარს შეტაკება მოსვლიათო. რამდენიმე გემი დაუღუპავთ, ადმირალი შმიტი დაუჭრიათ და ტყვედ წაუყვანიათო, ასე რომ მთავრობის ჯარს გაუმარჯვნია. ეს ძალიან შემაწუხებელი ამბავია, ჩვენ კი აქ შევყრილვართ და სიმღერას ყურს ვუგდებთ... ახლავე თეატრი დასცალეთო. ამ დროს სცენაზე გამოვიდა ერთი არტისტთაგანი და სთქვა: ,,ამხანაგებო, წარმოდგენა გადაიდოო“. ამ გამოცხადებას ხალხი ტაშის კვრით მიეგება და სულ გამოვიდა თეატრიდან. ამისთანავე ამბავი მოხდა არტისტიულ საზოგადოებაში.

როდესაც ხალხი თეატრებიდან გამოვიდა, მხოლოდ მაშინ მოესმა მოედანზედ რევოლვერების სროლა. სოლოლაკისაკენ თითქმის ვერავინ გაბედა წასვლა. ნამესტნიკის კარ-მიდამოს წინ და ქუჩებში ჯარები იყო გამწკრივებული. ტრამვაის ვაგონები აღარ დადიოდა. ფაიტონებიც ძალიან ცოტა იყო. ხალხმა ამ საღამოს ძალიან დიდი შიში გამოიარა.

მთელი ღამე სროლა არ შეწყვეტილა, იგი შესწყდა მხოლოდ დილით.

დილით მაღაზიები გაიღო, მუშებმა მუშაობა დაიწყეს.

იქნებოდა დილის ათი საათი, როდესაც კიდევ დაიწყო სროლა ისევ თათრების მოედანთან. ერთბაშად დაიხურა ბაზარი, დაიკეტა ყველა მაღაზიები, სტამბები, სახელოსნოები, ბანკები და ხელოსანი ხალხი და მუშები გავიდნენ ნაძალადევში და მიტინგი მოახდინეს. ამ მიტინგს შეუერთდნენ რკინის გზის დეპოს მუშებიც. გაიმართა თეთრი ბაირაღებით მანიფესტაცია. იქნებოდა 20,000 კაცზედ მეტი და ამ მანიფესტაციით გავიდნენ ხალხის დასამშვიდებლად თათრების უბანში, სადაც სროლა იყო.

წინა დღეს დილით სალდათების მიტინგზე დაადგინეს, რომ გაჟლეტილ იქმნენ ხულიგანები, პროვოკატორები და ხალხის ამრევნი.

ამავე დღეს შეიყარნენ საპიორის სალდათები, ხუთას კაცზე მეტი, წინ გაიძღოლეს სამხედრო მუსიკა და ამ რიგად დემონსტრატიულად შემოიარეს მთელი ქალაქის ქუჩები. ბალკონები, და ქუჩები ხალხით გაიჭედა და ამისთანა დემონსტრაციისთვის თანაგრძნობას უცხადებდა მათ და ვაშას ძახილს საზღვარი აღარა ჰქონდა.

ამ საღამოსაც ხალხი სულ მიიმალა, რადგან თათრების მოედანზე სროლა ისევ დაიწყო. თეატრებში წარმოდგენები გადაიდო, კრუჟოკში და არტისტიულ საზოგადოებაში ფეხი არავინ შესდგა. უგაზეთობამ, უფოსტობამ და უდეპეშობამ ხალხი ძალიან შეაწუხა.

23-ს შუაღამისას თათრების მოედნიდან სროლა ისევ მოისმოდა.

გათენდა ოცდა ოთხი. ვხედავ, სოლოლაკიდან დაბარგული ეტლი-ეტლს მოსდევს და კუკიისაკენ და ვერისაკენ მიდიან. ვკითხე, რა არის მეთქი ესა? მთელი სოლოლაკის სომხობა სულ იყრებაო, რადგან თათრები მაგათ გაწყვეტას უპირებენო,—მივიღე პასუხად:—იქნება ქართველების და რუსების უბანში თავი როგორმე გადაირჩინონო.

ამ დილას ტფილისის პოლიცმეისტერმა ცისსმა შეუთვალა გაზეთ „ვოზროჟდენიეს“: მიიღეთ ყოველნაირი ზომები რომ მშვიდობიანობა ჩამოაგდოთ და ხალხის ჟლეტა მოსპოთო, შეერთდით ყველა პარტიები და შეიმუშავეთ საერთო გეგმა; პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მთავრობაც შემოგიერთდებათო და ერთად ვიმუშავებთ და ხალხს ეშველებაო. „ვოზროჟდენიეს“ რედაქტორმა მაშინათვე მოიწვია ყველა პარტიების წარმომადგენელნი, რომელნიც ხელად გამოცხადნდენ. გაჩნდა პოლიცმეისტერიც. ასტყდა კამათი. სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელმა სთქვა: ხომ ხედავთ, მთავრობა ცდილობს მოგვირიგდესო, ეტყობათ, სუსხი იგრძნესო. ჩვენმა პარტიამ დაადგინაო, იარაღი მოვიპოვოთ, შევიერთოთ რუსის ჯარი, მაგრამ ეს რუსის ჯარი უთუოდ უნდა ემორჩილებოდეს ხალხის ჯარის უფროსსაო.

დროშაკისტებმა სთქვეს: არ მივიღებთ მთავრობისაგან იარაღსა, ჩვენ ჩვენი იარაღიც გვეყოფაო.

ფედერალისტებმა სთქვეს, იარაღი გამოვართვათ მთავრობას, მხოლოდ ეს იარაღი უნდა განაწილდეს ყველა პარტიებს შორის თანასწორედაო. გარდა ამისა, რუსის ჯარი არ გვინდაო.

პოლიცმეისტერმა ცისსმა სთქვა: „უთუოდ საჭიროა, ხალხი და პარტიები მოურიგდნენ მთავრობას. მე ვიქნები თქვენს შორის შუ-კაცი. მე ნამესტნიკს მუდამ ვეუბნებოდი, რომ თქვენთვის იარაღი მოეცათ, თორემ, სულ ერთია, ხალხი თვითონ იძენს იარაღს და ჯარსა და ხალხს შორის დიდი სისხლის ღვრა მოხდება-მეთქი. ნამესტნიკი არ მყაბულდებოდა ამას. ღმერთმანი, თქვენ არ მიჯერებთ, როგორც ჟანდარმად ნამყოფს, და როტმისტრს და ამ პაგონების პატრონს. აი, ჩემი ბოქაულების რაპორტები (ამოიღო და წაიკითხა მრავალი რაპორტი ტფილისის ბოქაულებისა, რომელშიაც რეპრესსიას თხოულობენ ქალაქის დასაცველად). მაგრამ მე მუდამ რეპრესსიის წინააღმდეგი ვიყავი და მუდამ დღე და ღამე ვარწმუნებდი ნამესტნიკს, რომ ჯარის გამოყვანა არ შეიძლება მეთქი. წარმოიდგინეთ, ახლა ნამესტნიკთან სომხების დეპუტაცია არის, რომელიც თხოულობს: თათრების მოედანზე ჯარი და ზარბაზნები გაგზავნეთ და თათრები ამოხოცეთო. მე დავარწმუნე ნამესტნიკი, რომ ჯარის გაგზავნა არ შეიძლება, თორემ უფრო უარესი დღე დაადგება ტფილისს, ვიდრე 22-ს ოქტომბერს დაადგა. ხალხი და პარტიები შევაერთოთ-მეთქი და ისე მოვსპოთ სისხლის ღვრა, რაზედაც ნამესტნიკი დავიყოლიე. ამას შემდეგ უმორჩილესადა გთხოვთ მორიგდეთ ერთმანეთში და ნამესტნიკი განკარგულებას მოახდენს თოფები დაგირიგდეთ, მხოლოდ მშვიდობიანობის ჩამოგდების შემდეგ ეგ იარაღი უნდა დაუბრუნდეს ისევ მთავრობას. ხელწერილი მომეცით, რომ ეს იარაღი უკან დაგვიბრუნდება, და საჭიროებისამებრ ისევ უკან მოგვცემათ''. პარტიები ამ წინადადებას ალტაცებით მიეგებნენ და უთხრეს, მთავრობის ჯარი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ ხალხის ჯარის ხელმძღვანელობითო.

პოლიცმეისტერმა მადლობა გადაუხადა პარტიების წარმომადგენლებს და გაეშურა ნამესტნიკისაკენ, სადაც სომხების დეპუტაცია რეპრესსიასა და თათრების გაჟლეტასა თხოულობდა.

საქმემ კარგად ჩაიარა: ხალხს მიეცა 500 ბერდანის თოფი და რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ 700, საკმაო პატრონებით. ხალხიდან შესდგა ასეულები, ბატალიონები, ჯგუფები, გაიდეს მხარზე თოფები და დაიწყეს ქალაქის ქუჩებში მოძრაობა.

ამ მოძრაობამ მთელი ტფილისი გააცოცხლა და ყველა მშვიდობიანობას გრძნობდა. ოროლ-სამ-სამი მილიციონერი ფაიტონებში ისხდა და მთელს ქალაქს გარს უვლიდა. მომეტებულს მათგანს წითელი ჯვარი ჰქონდა გაკეთებული და თეთრ ბაირაღებს აფრიალებდნენ; ეს იყო ნიშანი მშვიდობიანობისა. ეს რაზმები გზა-გზა იჭერდნენ ყველა საეჭვო კაცს, სომეხსა თუ თათარს, და იარაღს ართმევდნენ.

გაიღო მაღაზიები, დუქნები, ყველა დაწესებულებანი, მაგრამ ამ დაწესებულებებში არავინ შედიოდა და საქმის გული არც არავისა ჰქონდა. ყველას ეინტერესებოდა, თუ რა ხდებოდა ქალაქში და როდის მოეღებოდა ბოლო ხალხის ჟლეტას

25-ს დილით გამგეობის შენობის წინ, მრავალი ხალხი შეგროვდა და ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა სიტყვით მიჰმართა.

გრძელი სიტყვა სთქვა ქუთათურმა სომეხმა: „ამხანაგებო: დროა ჭკუაზე მოვიდეთ. თავი დავანებოთ ეროვნებაზე ლაპარაკსაო.

თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა კი სთქვა: ხალხო! ძალიან საზარელია თათრების და სომხების წაკიდება. დროა მოვსპოთ ხალხის ჟლეტა. ნუ დახედავთ იმას, თუ ვინ არის დამნაშავე—თათარი, სომეხი თუ სხვა. ახლა დავამშვიდოთ ეს ორი ტომი, რადგან უფრო, სხვა საჭირო და გადაუდებელი საქმე გვაქვს, ეს საქმე არის ხალხის განთავისუფლებაო.

ამის შემდეგ კიდევ ბევრი ითქვა და ყველა მორიგებას თხოულობდა, თხოულობდა შეიარაღებას და სისხლის ღვრის მოსპობას. ბოლოს წამოდგა ერთი ორატორი წითელის ჯვრით მკლავზე და გაცხარებით მოკლედ სთქვა: რას გაჩერებულვართ აქა, დროს რაზე ვკარგავთ, წავიდეთ და ორივე მხარე გადავარჩინოთო. ამ სიტყვების შემდეგ მთელმა მიტინგმა იგრიალა და ასე შეუიარაღებელი წავიდა იქ, სადაც სისხლის ღვრა იყო.

გუშინ, 26 ნოემბერს, აფიცრობამ და სამხედრო „ჩინოვნიკობამ“ სამხედრო შტაბში თავი მოიყარა. ერთხმად დაადგინეს—ამ კრებაზე მონაწილეობა არ მიიღონ საპიორის პატალიონებისა და სათადარიგო ჯარის აფიცრობამ, რომლებიც მაშინათვე დათხოვნილ იქმნენ. დარჩნენ და კრებას დაესწრნენ ის აფიცრები, რომლებსაც ადმინისტრატიული და სამხედრო სამმართველოებში მაღალი ადგილები უჭირავთ და სამხედრო ჩინოვნიკობა; მუდმივ ჯარის (სტროევოი) აფიცრობა ცოტა მოვიდა. კრებამ დაადგინა: „თუ ხალხის ორგანიზაციას დარიგებული იარაღი არ ჩამოერთმევა, კრებაზე დამსწრენი სამსახურს თავს დაანებებთო“.

ეს დადგენილება გუშინვე ნამესტნიკს წარუდგინეს.

ერგნელი.

ახალი ამბავი

დღეს, კვირას, 27 ნოემბერს, ნაძალადევში **გაიმართება სახალხო მიტინგი**, რომელიც მოწვეულია რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ტფილისის ორგანიზაციის-მიერ. მიტინგის ტემა იქნება ამ დღეებში ტფილისში მომხდარი სამწუხარო ამბები.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა **საოლქო ბიურო მოუწოდებს ყველა ამხანაგთ მიტინგზე**, რომელიც დანიშნულია ვერაზე, ორშაბათს, 28 ნოემბერს. თუ ავი დარი იქნება, მიტიგი გადაიდება სამშაბათისთვის (29 ნოემბრისათვის.).

◆ დღეს, კვირას, 27 ნოემბერს, დილის ათ საათისთვის მუშტაიდში, ლორთქიფანიძის რესტორანის მახლობლად, **ვაჭრების მიტინგია დანიშნული.** ამ მიტინგზე იწვევენ საწვრილმანო და გასტრონომიულ მაღაზიების პატრონთ და ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთ.

◆ დღეს, დილის ათ საათზე, ნაძალადევში **დანიშნულია მიტინგი** ტფილისის კერძო ზეინკლებისა. მიტინგი შეიმუშავებს ზეინკლების დგომარეობის გასაუმჯობესებელ პირობებს.

◆ პარასკევს, 25 ნოემბერს, მილიციონერებმა ტფილისის სადგურზე დაატყვევს ერთი ქართველი და ერთიც სომეხი იმ დროს, როცა ისინი ერთ ახლად ჩამოსულ თათარს რევოლვერს აცლიდნენ. **დამნაშავეებს იარაღი აჰყარეს** და გადასცეს ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციას. ამავე დღეს მოიყვანეს რამდენიმე კაცი იმავე დანაშაულობისათვის. მოიყვანეს აგრეთვე რამდენიმე ქურდი, რომელთაც დუქანი გაეტეხათ და გაძარცვას უპირებდნენ.

◆ პარასკევს, 25 ნოემბერს, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე, გოლოვინის პროსპექტზე, ,,პურდენოს'' სასტუმროს წინ, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა და სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შესახებ ლაპარაკობდა. ერთ-ერთ ჯგუფს მიუახლოვდა ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილი ერთი კაცი და დაიწყო **ხმა-მაღლა ყვირილი**: სომხები სულ ამოსაწყვეტნი არიან, თათრებს ხოცვენ, ახლა კიდევ ქართველებს დასცემიან და სულერთიან ამოწყვეტას უპირებენო; ამ დროს ერთმა დაიძახა ჯგუფიდან: ,,ამხანაგებო, ეს პროვოკატორია და არ გაუშვათო''. მან გაქცევა დააპირა, მაგრამ ამ დროს გამოუდგა იქვე მდგომი „ქართველ-ფედერალისტთა“ ჯგუფი, თაგანდაიჭირა და წაიყვანა მსჯავრის დასადებად.

◆ ხუთშაბათს, 24 ნოემბერს, ტფილისის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მიერ გამართულ მიტინგზე, **მოიყვანეს ორი ტყვე**. ერთი ტფილისის პოლკის ჯარის-კაცი იყო, ხოლო მეორე-სომეხი, „დროშაკისტთა“ პარტიისა. ამათ ბრალი ედებოდათ სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობის მიღებისა. პირველმა შეკითხვაზე განაცხადა. „მე დამნაშავე ვარ და, რაც გინდათ, ის მიყავითო“. გამოჰკითხეს ვინაობა და განაცხადა: ქართველი ვარ, სტეფანე ფილდერიო (?). მკვლელობის შესახებ სთქვა: თათრის მოედანზე ვიდექი, დავინახე, რომ ერთმა სომეხმა დაახალა რევოლვერი იქვე მიმავალ თათარს და სასიკვდილოთ დასჭრა; მე მაშინვე გავექანე დაჭრილ თათრისკენ, რევოლვერი ამოვაცალე და შემდეგ, მთვრალმა, იქვე მიმავალ თათარს ვესროლე და მოვკალიო; მე მეგონა, სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით ხდებოდა თათრების ჟლეტაო. სომეხმა სთქვა შეკითხვაზე: მე „დროშაკისტი'' ვარ, არავითარი განზრახვა არ მქონია თათრის მოკვლაში, მაგრამ, რადგან თათრებმა ჩემს ოთახს რევოლვერი დაუშინეს, მეც იძულებული გავხდი სროლითვე მეპასუხნაო. ორივე დამნაშავენი გადასცეს გახასამართლებლად სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციას.

◆ როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ალტაგლის სადგურს **დასცემია სამასი შეიარაღებული თათარი** და თითქმის ყველა სადგურის მოსამსახურენი ამოუხოციათ, არიან დაჭრილებიც. თხოულობენ დახმარებას.

◆ ტფილისში დაბეჯითებითი ხმები დადის, რომ მოსკოვში წასულა ხელმწიფე და **დაუფიცნია სრულს კონსტიტუციაზე** და გამოუცხადებია სრული ამნისტიაო. რადგან ფოსტა-ტელეგრაფი კვლავ მედგრად განაგრძობს გაფიცვას და დეპეშების მიმოსვლა მთელს რუსეთში შეწყვეტილია, ამ ხმების სიმართლის დამტკიცებას ვერ ვეკისრებით.

◆ დღეისათვის ვეტცელის თეატრში დანიშნული ბ-ნთ განელისა და გოგელიას **რეფერატების წაკითხვა**, ტფილისში მომხდარ ამბებისა გამო, გადაიდო 4 დეკემბრისათვის.

◆ ხუთშაბათს, 24 ნოემბერს, ღამით სალდათის ბაზარში **მოდარაჯე „დრუჟინამ“ შეიპყრო ხუთი კაცი**, რომლებიც შეიარაღებულიყვნენ ლომებით, ჩაქუჩებით და ხანჯალ-რევოლვერებით და დუქნებს ათვალიერებდნენ. „დრუჟინის“ შეკითხვაზე: „რად დადიხართ აქაო“, ზოგმა მათგანმა უპასუხა: „ჩვენ უბნის დამცველები ვართო“, ზოგმაც—გზად გავიარეთ, თავ-თავიანთ სახლში მივდივართო. ვინაობის შეკითხვის დროს გვარი არა სთქვეს, მაგრამ ორი ქართველი აღმოჩნდა და სამი სომეხი. „დრუჟინამ“ საეჭვო კაცებად იცნო ისინი და მუშათა ორგანიზაციას წარუდგინა.

◆ როგორც გადმოგვცეს, ქუთაისში **დაარსებულა სამოქალაქო მილიცია**, სამოცი კაცისაგან შემდგარი.

◆ 23 ნოემბერს, მთაწმინდაში თავი მოიყარა სამასამდე **სახლის პატრონმა და მიტინგი გამართა.** მიტინგმა გადასწყვიტა, დამცველი რაზმის შედგენა, რაიც იმავე ღამეს სისრულეში მოყვანილ იქმნა. აღმოჩნდნენ მსურველები, რომელთაც ფიცი დასდეს ერთმანეთის წინაშე და იარაღი აისხეს. ჯერ-ჯერობით ოთხმოცდა-ათამდე შეიარაღებულები იცავენ მთაწმინდის მცხოვრებთ. რახან მსურველი ბევრი აღმოჩნდა, სახლის პატრონებმა გადასწყვიტეს, გამართონ, ამ დღეებში კრება და ამოირჩიონ კომისია, რომელსაც დაევალება იარაღისთვის გადასახადების შეწერა მცხოვრებლებზე. კომისია უკვე შესდგა.

◆ 24 ნოემბერს, დილის 11 საათზე, შუაბაზარში, მანთაშევის ქარვასლასთან, ეტლით მიდიოდა ერთი თათარი და მიჰყავდა ორი ზეინკალი, რომელთაც მიჰქონდათ დარაბების დასაკეტი რკინები. უცბად საიდანღაც თავს **დაეცა რამდენიმე შეიარაღებული სომეხი**, რომელთაც გაჩხრიკეს თათარი, მაგამ არაფერი აღმოაჩნდა. თათარი შეეხვეწა: ნუ მომკლავთო, მაგრამ სომხებმა,—სამოცამდე იქნებოდა,—დაახალეს თოფები; თათარი გაიქცა, მაგრამ სახელოსნო სასწავლებელთან სომხებმა მოარტყეს ტყვია და მოჰკლეს. შემდეგ სომხები მისცვივდნენ მკვდარს, ქუდი და წაღები გაჰხადეს, ჯიბეები გაუჩხრიკეს და, რაც ფული ჰქონდა, სულ წაართვეს.

◆ სამშაბათს, 22 ნოემბერს, **ტფილისის სადგურზე შემდეგი ამბავი მოხდა**: ერთს სათადარიგო ჯარის კაცს ლაპარაკი მოუვიდა იქვე მდგარ ჟანდარმთან. ამ უკანასკნელმა მეტის-მეტის უკმეხის სიტყვებით დაიწყო ლაპარაკი. სალდათმაც შესაფერი პასუხი გასცა. უცბად ჟანდარმმა იშიშვლა ხმალი და სალდათი თავში დასჭრა. ხალხში ჩოჩქოლი ასტყდა. ერთი ჯარის-კაცთაგანი იქავ ბაქანზე ავიდა და ხალხს მიუბრუნდა: „ძმებო! ამხანაგი მოგვიკლესო!“ გაფთრებული ხალხი მივარდა ჟანდარმს, რომელსაც ძალზე სცემეს. ჟანდარმი საავადმყოფოში წაიყვანეს. შემდეგ ხალხი ისევ დაწყნარდა.

◆ ორშაბათს, 23 ნოემბერს ერევნის მოედანზე მოჰკლეს ორი თათარი: ერთი სალდათის ბაზართან, ხოლო მეორე პუშკინის ბაღის ყურთან. მოკლულთა გვამები მტკვარში გადაუგდიათ. მსგავსი შემთხვევები იყო კიდევ ვორონცოვის ხიდთან, სადაც **კომერციულ სასწავლებლის მოსწავლენი ერთს თათარს** მუშას დაეცნენ და ქერით სავსე ტომარა გაუჩხრიკეს. ქერი გაუფანტეს, ხოლო რევოლვერი, რომელიც თათარს აღმოაჩნდა წაიღეს, იმავე დღეს, სალდათის ბაზართან კიდევ დაეცნენ ცხენით მიმავალს თათარს და რევოლვერი წაართვეს. თათარი შეშინდა. ცხენი დასტოვა და გაიქცა.

◆ 23 ნოემბერს, $12^1/_2$ საათზე, გოლოვინის პროსპექტზე, ხალხის **ერთი ჯგუფი დაეცა კურცის თოფების საწყობ მაღაზიას** და იარაღი გაიტაცა; ამავე დროს, კუკიის ხიდზე, მეორე ჯგუფი დაეცა სარქისოვის მაღაზიას და იქიდანაც სულ დაიტაცა იარაღი.

◆ პარასკევს, 25 ნოემბერს, ნაშუადღევის საათზე, ერევნის მოედანზე, ქალაქის გამგეობის წინ თავი მოეყარა ხალხს. გამგეობიდან გამოვიდა ვიღაცა და სიტყვა წარმოსთქვა ახლანდელ ხოცვა-ჟლეტის შესახებ. ხალხმა თანდათან იმატა. ამ დროს, მოადგა გამგეობის ფანჯარას მეორე უცნობი, რომელსაც მკლავზე დაკერებული ჰქონდა **წითელი ჯვარი** და დაიძახა: ,,ძმებო, მეიდანში ისევ ხოცვააო''. ხალხი დაფრთხა და გაიფანტა, შეიარაღებულები კი გაიქცნენ მოედნისაკენ, მაგრამ ჩქარა დაბრუნდნენ და გამოაცხადეს, რომ ტყუილია, ყველგან მშვიდობიანობააო. ხალხი შევარდა გამგეობაში, პროვოკატორი შეიპყრო და სოც. დემ. მუშ. პარტ. ბიუროს გადასცა.

◆ 24 ნოემბერს ნორაშენის ეკლესიათან, ანანოვის ქარვასლის მახლობლად, შალამოვის დუქნიდან, მოჰკლეს წყლის მზიდავი მუშა თათარი.

◆ 24 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე, ავლაბარში, ერთ სომხის ოჯახში შემდეგი უბედურება მოხდა: ოჯახის მამასახლისი სინჯავდა თოფს „ცენტრალკას“, მის პირდაპირ ამ კაცის დედა იჯდა თურმე და ხელში ეჭირა პატარა შვილიშვილი. უცბადად კაცს თოფი გავარდნია, მოხვედრია თავის შვილს, რომელიც იქვე მოკვდარა, და დაუჭრია დედაც.

◆ ხუთშაბათს, 24 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, სალდათის ბაზარში, „ივერიის“ ნომრების ახლოს, გაიარა დახურულმა ეტლმა, რომლიდანაც გავარდა თოფი და წააქცია ერთი მოდარაჯე ჯარის კაცთაგანი. დანარჩენები გამოუდგნენ ეტლს, გააჩერეს და შეაპყრეს ერთი, მეორე კი გაექცათ.

◆ ამ დღეებში მეტეხის ციხიდან საპიორთა ბატალიონის ოთხი ჯარის-კაცი განთავისუფლეს, რომელთაც თაანთში ოფიცრის მოკვლა ბრალდებოდათ. ამ საქმის გამო სამი ჯარის-კაც დღესაც ციხეში ზის.

◆ როგორც გავიგეთ, თავადი პეტრე გრუზინსკი გადაჭრით უარს ამბობს ტფილისის ვიცე-გუბერნატორობაზე.

◆ ამ დღეებში ულუხანლუს გზაზე არტელშჩიკს ავტაევს წაართვეს ულუხანლუს გზის მოსამსახურების ჯამაგირი 11,500 მანეთი და 8500 მანეთი პოდრიადჩიკისთვის დასარიგებელი, სულ 20,000 მ.

◆

ნამესტნიკის განცხადება

რადგანაც ამ ბოლო დროს ძლიერ გამწვავდა თათართა და სომეხთა შორის დამოკიდებულება, ნამესტნიკმა საჭიროდ დაინახა:

1) იმ ზომების შესამუშავებლად, რომლებიც საჭიროა ქვეყნის დასამშვიდებლად, დაარსდეს ნამესტნიკის საბჭოს წევრის ტუხელოვსკის თავმჯდომარეობით კომისია, რომლის წევრებადაც იქნებიან: დირექტორი ნამესტნიკის კანცელარიისა სტ. ს. პეტერსონი, ტფილისის გუბერნატორი შტალ. ბარონი რაუშ-ფონ-ტრაუბენბერგი და სხვები, რომელთა მოწვევაც საჭიროდ იქნება ცნობილი. ამავე კომისიაში შედის 8 კაცი, თითოეულ ეროვნებისაგან ორ-ორი პირი: რუს, ქართველ, სომეხ და თათართაგან;

2) წინადადებას აძლევს ტფილისის ქალაქის საბჭოს, დაუყოვნებლივ მოიწვიოს თავის შეხედულებისამებრ ეს პირები;

3) ამასთანავე კავკასიის ნამესტნიკი უცხადებს ნდობას მშვიდობიან მცხოვრებთ და მუშათა პარტიას, რომელიც თხოულობდა იარაღის დარიგებას სომეხ-თათართა გამწვავებულ მდგომარეობის დასამშვიდებლად, და დაურიგა მათ 500 თოფი.

იმის გამო, რომ ადმინისტრაცია მოქმედებს თანხმობით ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლებთან, იმედია, რომ ადგილი აღარ ექნება თვითნებობას, რომელსაც შეეძლება ქალაქის მცხოვრებთა შორის გამოიწვიოს განხეთქილება და უწესოება.

პროტოკოლი

წარმომადგენლებმა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის უმცირესობისა და უმრავლესობისა, მაჰმადიანთა სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფისა, ჭანჩაკისტებისა, და სომეხთა რევოლუციონერ ფედერალისტთა „დაშნაკცუტიუნ“-ისა 23 ნოემბრის კრებაზე შემდეგი გარდაწყვეტილება მიიღეს:

1. სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად თათარ-სომეხთა უბნების შუა ჩააყენონ სოც.-დემოკრატიულ პარტიის რაზმები, ქართველთა და რუსებისაგან შემდგარი.

2. ორთავე მხარის პოზიციებზე გაიგზავნონ წარმომადგენლები და ეთხოვოთ, ძარცვა-გლეჯასა და დუქნების მტვრევაზე ხელი აიღონ. თუ ღამე მოჩხუბარ ეროვნების შეიარაღებულ კაცს შეხვდნენ, იარაღი აჰყარონ და წაიყვანონ სადარაჯოებზე და არამც და არამც არ მოჰკლან.

ამ გარდაწყვეტილების აღსრულებას შეუდგნენ იმავე ღამეს.

◆

22—25 ნოემბრამდე მოკლულთა რიცხვი.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 22, 23, 24 და 25 ნოემბერს მიიტანეს 19 მოკლული: 10 თათარი, 6 სომეხი, 1 უცნობი კაცი, 2 ქალი (ერთი რუსი მრეცხავი, მეორე უცნობი). ამას გარდა, მძიმედ დაჭრილთაგან საავადმყოფოში მოკვდა 4 კაცი: ერთი თათარი, ერთი სომეხი და ორი ქართველი. 26 ნოემბრამდე სულ მოკლულია 23 კაცი.

მიხეილის საავადმყოფოში ამჟამად იმყოფება 34 მძიმედ დაჭრილი, 18—სახლებში წაიყვანეს; მძიმედ დაჭრილთაგან 14 თათარია, 11 სომეხი, 3 სპარსელი, 5 ქართველი, 1 გერმანელი. აი, გვარები საავადმყოფოში მყოფ მძიმედ დაჭრილებისა: 1. ალი ისმაილ ოღლი, 19 წლისა, 2. მაშადი ოღლი სულთანოვი, 50 წლისა, 3. ალი ჩარვაბლი ოღლი, 10 წლისა, 4. მამედ-სალი-ოღლი, 5. ისმაილ ვერდი ოღლი, 25 წლისა, 6. ასან გეიშან ოღლი, 40 წლისა, 7. ყული ბაბოევი, 27 წლისა, 8. ისმაილ გუსეინ ოღლი, 9. მაშადი ასან ოღლი, 10. ფეიზულა ულატ გილდაევი, 11. ოსან ვაჩნლი ოღლი, 12. მუხტარ აბდურახან ოღლი, 13. აზის აზის მაჰმედ ოღლი, 14. ზეინად სამედოვი, 15. ხარისტა ბაბა ოღლი, 16. მანად ალი ოღლი, 17. ალი-მამედ-ოღლი, 18. ვაჰან ეგოსიანცი, 19. ბარატ გეურქოვხანოვი, 20. გრიგოლა არუშანოვი, 21. აბრამ სარქისოვი, 22. ავეტის დარახჩიანცი, 23. კარაპეტ კერელიანცი, 24. იაკობ შაიროვი, 25. არშაკ ხაჩატუროვი 26. პავლოს ვართანოვი, 27. გიორგი ასკანოვი, 28. გარეგინ ყორღანოვი, 29. ალექსი მაზიაშვილი (მოკვდა შემდეგ), 30. ვიქტორ არჩვაძე, 31. ალექსი გოგიშვილი. 32. გიორგი მგალობლიშვილი (მოკვდა შემდეგ), 33. ნიკ. გივანიშვილი, 34. არხიპ ბერიძე.

მკვდრების გვარები: სანდრო საიპოვი, მიხეილ ომანიშვილი.

◆

რუსეთი

სევასტოპოლში ბრძოლა. მეჯანყეებთან დამარცხებულმა გენ. კაულბარსმა შემდეგი დეპეშა გაგზავნა სევასტოპოლიდან პეტერბურგში: „სამხედრო აჯანყება მოვსპეთ. ჯარი მამაცურად იბრძოდა. დავატყვევეთ 2000-მდე აჯანყებული. ებრაელები და რევოლუციონერები აღელვებულნი არიან და აფიცრებს მუქარას უთვლიან და შეურაცხყოფას აყენებენ. ბრძოლის დროს თავი ისახელეს შემდეგმა პოლკებმა: ბრესტისა, ბელოსტოკისა, ციხის ქვეითა ბატალიონმა, არტილერიის მე-13 ბრიგადამ და დონის კაზაკთა მე-7 პოლკმა“.

ადმირალი ჩუხნინი, სხვათა შორის, იწერება: „ბრძოლის ქარიშხალმა გადაიარა; სარევოლუციო გრიგალი ჯერ არ მოსპობილა. რუსეთს სამოქალაქო ომი ელის; ეს ყველას ესმის, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა არავის უნდა“.

რამდენიმე საათის განმავლობაში სევასტოპოლში გაცხარებული ბრძოლა იყო. იბრძოდნენ ხმელეთზე, ფორტებზე და ზღვაზე. საავადმყოფოები სავსეა დაჭრილებით. საღამოს 5 საათზე ორივე მხრივ ერთმანეთს ისეთი ძალით დაუშინეს ზარბაზნები, რომ ჰაერში განუწყვეტელი ქუხილი იდგა. ზარბაზნების გრიალი 60—70 ვერსზე ისმოდა. დაჭრილი და მოკლული ბევრია. ამ ჟამად ქალაქი სამარეს ჰგავს.

◆ პეტერბურგში დიდი აყალ-მაყალია: ვისაც შეუძლიან, საზღვარ-გარეთ გარბის. დიდი მთავარი ბორისი და იმის დედა (მეუღლე ვლადიმირისა) საზღვარ-გარეთ წავიდნენ. პეტერბურგსა და ცარსკოე სელოში დაბანაკებულ ჯარებში და ბალტიის ფლოტში მოძრაობა გაძლიერდა. ცარსკოე სელოს აფიცრებმა მიტინგზე დაადგინეს, არ ესროლონ ხალხს. პეტერბურგის მახლობლად გერმანიის ესკადრა უნახავთ.

◆ 18 ნოემბერს, საღამოს, პოლიციამ დაიჭირა გაზეთ „ნაჩალოს“ დამატება—პროგრამა რუს. სოც. დემ. მუშათა პარტიისა.

◆ „პულემიოტ“-ის რედაქტორი შებუევი დაპატიმრეს და საქმის გაურჩევლად ციხეში ჩასვეს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

კვირას, 4 დეკემბერს, ვეტცელის თეატრში
წაკითხულ იქნება

რეფერატი

ბ.ნ განელის მიერ:

I

თანამედროვე საზოგადოებრივი მოძრაობა და პოლიტიკური პარტიები.

II

შალ. გოგელიასაგან.

კრიტიკა დიალექტიკისა და მარქსის ეკონომიურ მონიზმისა.

ბილეთები ისყიდება „ივერიის“ რედაქციაში, გრ. გოგელიასთან.

დასაწყისი საღამოს $5^1/_2$ საათზე.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5.